

ავტორთა კოლექტივი

მემარცხენე მწერლობის ფორმირება საქართველოში

(მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე)

რედაქტორები: **ირმა რატიანი, გაგა ლომიძე**

გამომცემლობა: მნიგნობარი, 2022

ორტომეული შეიქმნა რუსთაველის ფონდით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელშიც პირველად დამუშავდა: ხალხოსნური მოძრაობის განვითარების გზა საქართველოში, ქართველი ხალხოსნების პოლიტიკური და სოციალური შეხედულებები, მათი მსოფლმხედველობითი მიმართება რუსულ „ნაროდნიკობასთან“; ქართველი ხალხოსნების მიმართება მათ თანამედროვე ევროპულ სივრცეში შემუშავებულ კულტურულ, საზოგადოებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ ღირებულებებთან; ნაციონალური საკითხის ადგილი ქართველ ხალხოსან მწერალთა პუბლიცისტიკასა და მემუარულ მწერლობაში; ქართველი ხალხოსანი მწერლების ესთეტიკური პლატფორმა: ახალი ლიტერატურული ტრადიციების შექმნა და ახალი მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბება, მათი შემოქმედების აქტუალობა ქართული იდენტობის გადარჩენისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში; გენდერული თემა – ერთ-ერთი სრულიად ახალი დისკურსი ქართველი ხალხოსნების მწერლობაში. ქალთა ემანსიპაციის საკითხი პირველად სწორედ ხალხოსნურ ლიტერატურაში გამოიკვეთა.

ორტომეულის პირველი წიგნი აერთიანებს პროექტის ფარგლებში განხორციელებულ კვლევებს (ვრცელი ინგლისური რეზიუმეებით), მეორე ტომში თავმოყრილია აღნიშნული პერიოდის მოღვაწეთა ანთოლოგიური ხასიათის ნაშრომები და უნიკალური ფოტომასალა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაცული არქივებიდან თუ მუზეუმებიდან.

დევიდ ლოურენსი

ფსიქონალიზი და არაცნობიერი

მთარგმნელი: **გია ბერაძე**

გამომცემლობა: აქტი, 2021

წიგნი შედგება ავტორის ორი მცირე ზომის ესესგან. პირველი ესე წარმოადგენს ფროიდის ერთგვარ კრიტიკას. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისი ამ მცირე ზომის წიგნის მიზანია, რომ იპოვოს თუნდაც რაღაც საყრდენი წერტილი იმ ბუნდოვან სფეროში, რომელიც არაცნობიერის სახელითაა ცნობილი. მეორე ესეი – „პორნოგრაფია და უხამსობა“

– გარკვეულწილად მიძღვნილია მორალისა და საკუთარი თავის გაცნობიერებისადმი, ისევე როგორც სექსუალური ურთიერთობის როლის აღნიშვნისა და საზგასამისათვის და ა.შ.

დევიდ ჰერბერტ ლოურენსი არის ინგლისელი მწერალი. 1909 წელს გამოაქვეყნა ლექსების კრებული. სახელი გაითქვა პირველივე რომანით „თეთრი ფარშავანგი“ (1911).

ბერტრან რასელი

დასავლური ფილოსოფიის ისტორია. წიგნი II

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი

გამომცემლობა: iBooks, 2022

ბერტრან რასელის „დასავლური ფილოსოფიის ისტორიის“ მეორე წიგნი მოიცავს ათსაუკუნოვან პერიოდს და მასში განხილულია ის, რასაც ავტორი „კათოლიკურ ფილოსოფიას“ უწოდებს, დაწყებული ეკლესიის მამებიდან (წმ. ავგუსტინე, პელაგიუსი, წმ. ბენედიქტე და გრიგოლ დიდი), მაჰმადიანური კულტურის გავლით დომინიკელებისა და ფრანცისკანელების ჩათვლით. ავტორი ასევე ეხება იოანე სკოტის, უილიამ ოკამელის და თომა აკვინელის ფილოსოფიას.

ანრი ბერგსონი

ცნობიერება და სიცოცხლე

მთარგმნელი: დოდო ლაბუჩიძე

გამომცემლობა: ბიბლიო, 2021

წინამდებარე წიგნის მიზანს ცნობიერების, სიცოცხლის და მათი ურთიერთმიმართების კვლევა წარმოადგენს ფილოსოფიისა და მეცნიერების ჭრილში. ტექსტი მოხსენების სახით არის წაკითხული 1911 წლის 29 მაისს ბერმინგემის უნივერსიტეტში ჰაქსლისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

ჯოზეფ კონრადი და პოსტკრიტიკა: იმედის პოლიტიკა, შიშის პოლიტიკა

Joseph Conrad and Postcritique: Politics of Hope, Politics of Fear

გამომცემლობა: Palgrave Macmillan, 2021

ესეების ეს კრებული მნიშვნელოვანი წვლილია როგორც კონრადის კვლევებში, ასევე კრიტიკულ/პოსტკრიტიკულ დებატებში. ორიგინალური, გამჭრიახი და დამაფიქრებელი კრიტიკული ესეების სერიის მეშვეობით, რომლებიც ძირითადად კონრადის კანონიკურ ნაშრომებზეა ორიენტირებული, ის წარმოადგენს პარადიგმის ცვლილებას კონრადის

კვლევებში. ამავე დროს, კონრადის მაგალითის ანალიზით ჩვენს თვალ-
წინ იშლება, ზოგადად, პოსტკრიტიკული მიდგომების მრავალფეროვნება.

ამ წიგნში წარმოდგენილია ჯოზეფ კონრადის ცენტრალური ტექ-
სტები პოსტკრიტიკული თვალსაზრისით. კრიტიკა არის წაკითხვის
ფორმა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს დაეჭვებას, ნიღბების მოხსნას
და დემისტიფიკაციას, პოსტკრიტიკა პოზიტიურ მნიშვნელობას ანიჭებს
ცოდნას, აფექტს, ეთიკას და პოლიტიკას, რომლებიც ლიტერატურიდან
მომდინარეობს. ამ კრებულის ესეებში წარმოჩენილია კონრადის მხატ-
ვრულ ლიტერატურაში არსებული ბნელი ელემენტები – ტყუილი, ამა-
ოება, სიხარბე, ვნება, ცინიზმი და სისასტიკე – თუმცა ამ კრებულში
ვხვდებით იმედსაც. კონრადის სკეპტიციზმში ვლინდება პოლიტიკის ბნე-
ლი არსი, ხოლო მისი კრიტიკული მემკვიდრეობა ამჟამად ჩვენს შიშს,
რომ კაცობრიობას არ გააჩნია გაუმჯობესების უნარი.

რობერტ იგლსტონი

სიმართლე და გაოცება. ლიტერატურული შესავალი პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფიაში

Truth and Wonder. A Literary Introduction to Plato and Aristotle

By **Robert Eaglestone**

გამომცემლობა: Routledge, 2021

წიგნში წარმოჩენილია პლატონის და არისტოტელეს გადამწყვეტი
გავლენა ლიტერატურულ და კულტურულ კვლევებზე, თანამედრო-
ვე ენებსა და მათთან დაკავშირებულ დისციპლინებზე. ის ყურადღებას
ამახვილებს იმაზე, თუ რას ამბობენ პლატონი და არისტოტელე ლიტე-
რატურის შესახებ და როგორ ამბობენ ისინი, და აჩვენებს, თუ როგორ
აყალიბებს მათი ფილოსოფია წაკითხვის სტრატეგიას, აზროვნებას და
ცხოვრებას.

რობერტ იგლსტონი ნათლად განმარტავს მათ მოსაზრებებს.
ის პლატონის იდეებს წარმოაჩენს მის დიალოგებში გამოყენებული
მეტაფორების, მოთხრობებისა და სტილის მეშვეობით, ხოლო არისტო-
ტელეს იდეებს – თხრობის მნიშვნელობით. „სიმართლე და გაოცება“
ეყრდნობა სხვადასხვა მოაზროვნის ნააზრევს და პოზიციებს, მათ შორის
ჰანა არენდტს, მარტინ ჰაიდეგერს, ჟაკ დერიდას და მართა ნუსბაუმს;
ასევე, კანონიკურ მწერლებს – ფილიპ სიდნის, პერსი შელის თუ აირის
მერდოკს.

პლატონისა და არისტოტელეს იდეები საფუძვლად უდევს დასავ-
ლურ კულტურას, დღემდე შთააგონებს თანამედროვე ლიტერატურულ
და ფილოსოფიურ ტექსტებს და დიდ გავლენას ახდენს ჰუმანიტარულ
მეცნიერებებზე. „სიმართლე და გაოცება“ გათვლილია სტუდენტებზე,

ასევე, იმ მკვლევრებზე, რომელთა ინტერესის ძირითადი სფეროა ლიტერატურის, თეორიისა და კრიტიკის შესწავლა. წიგნი საგულისხმო იქნება მათთვისაც, ვინც სწავლობს ფილოსოფიას, კლასიკურ ლიტერატურასა და პოლიტიკურ თეორიას.

რიჩარდ ჯეიკობსი

ლიტერატურა და კრიტიკა. ტექსტებზე რეაქციის გამომუშავება

Literature and the Critics. Developing Responses to Texts

By **Richard Jacobs**

გამომცემლობა: Routledge, 2022

აღნიშნული გამოცემა წარმოგიდგენთ ბოლო რამდენიმე ათწლეულის ორასზე მეტი წამყვანი ლიტერატურათმცოდნის ნაშრომების მდიდარ და შთამბეჭდავ ნაკრებს და რომლებშიც წარმოდგენილია ლიტერატურული ტექსტების ანალიზი – შექსპირიდან ტონი მორისონამდე.

ქრონოლოგიურად სტრუქტურირებულ ამ წიგნში თავმოყრილია ნაცნობი ტექსტების კრიტიკული ნაკითხვის ნიმუშები, კრიტიკული პრაქტიკის სხვადასხვა მეთოდი და მიდგომა. წარმოდგენილი კრიტიკული ნააზრევის დიაპაზონი – აბრამსიდან და ადელმანიდან ციმერმანამდე და ჟიჟეკამდე – სტუდენტებს გონივრულ მოდელებს სთავაზობს, თუ როგორ უნდა წაიკითხონ, იფიქრონ და დაწერონ ტექსტების შესახებ, რომ საკუთარი კრიტიკული პასუხების ჩამოყალიბება მოახერხონ და დამოუკიდებელ მკითხველებად ჩამოყალიბდნენ. წიგნში ვხედავთ, თუ როგორ განვითარდა კრიტიკა დროთა განმავლობაში და როგორ იყო ის ყოველთვის მჭიდროდ ჩართული ფართო კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ დებატებში. კრიტიკას, კულტურასა და პოლიტიკას შორის კავშირების შესახებ საუბარია წიგნის მასშტაბურ პირველ თავში. ცხადი სტილით, რიჩარდ ჯეიკობსი შესანიშნავად ახერხებს, ნათლად ისაუბროს ლიტერატურასა და კრიტიკას შორის მიმართების შესახებ.